ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

„ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე

ქ. თბილისი 16.12.2020

1. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მხარეები

1.1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, წარმოდგენილი მერის, კახა კალაძის მიერ (შემდგომში: „თბილისის მთავრობა“);

1.2. შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი“ (ს/კ: 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დიღომი“ (ს/კ: 202389156), (შემდგომში ყველა ერთად: „ცენტრ პოინტ ჯგუფი“) წარმოდგენილი მაია რჩეულიშვილის (პ/ნ: 01017003383) მიერ;

1.3. შპს „სიემსი“ (ს/ნ: 205292486), წარმოდგენილი მისი დირექტორის, გიორგი ქარაზანიშვილის (პ/ნ: 01024026341) მიერ,

შემდგომში თითოეული წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები“,

ვინაიდან,

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის N18.805.1184 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 ოქტომბრის N316 განკარგულების საფუძველზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფს“ შორის 2018 წლის 4 ოქტომბერს დაიდო „2008 წლის 20 თებერვლის „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის N1137/1 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ“ შეთანხმება, რომლის მიზანს წარმოადგენდა ქალაქ თბილისში, კონსტიტუციის ქუჩა N6, ქალაქი თბილისი, ჩუბინიშვილის ქუჩა N52-ში მდებარე 01.16.01.009.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა, რათა შემდგომში აღნიშნული ქონების განკარგვისას გათვალისწინებულ ყოფილიყო იმ პირთა ინტერესები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უდასტურდებათ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მიმართ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 24 ივნისის N20.657.824 განკარგულების შესაბამისად, სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცა საკუთრებაში: ქალაქ თბილისში, კონსტიტუციის ქუჩა N6, ქალაქი თბილისი, ჩუბინიშვილის ქუჩა N52-ში მდებარე 15913.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: N1, N2, N3, N4, N5, N6 (ს/კ: 01.16.01.009.001) ზემოაღნიშნული პირობით;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ოქტომბრის N2053 განკარგულების შესაბამისად, ზემოაღნიშნული ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 (ერთი) ლარის ოდენობით საპრივატიზებო თანხის გადახდის სანაცვლოდ, საკუთრებაში გადაეცა შპს „სითი

მაია რჩეულიშვილი
გიორგი ქარაზანიშვილი

ლოფტს“ (ს/ნ 404909934) და ერთ-ერთ საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა შპს „სითი ლოფტის“ მიერ 18,700,000 (თვრამეტი მილიონ შვიდასი ათასი) ლარის გადახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მითითებულ ანგარიშ(ებ)ზე;

- ზემოაღნიშნული განკარგულების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ეთხოვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება იმ პირთა დაკმაყოფილების მიზნით, ვისაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უდასტურდებათ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მიმართ მოთხოვნის საფუძველი და აღნიშნული მიზნობრიობით, 2020 წლის 14 დეკემბერს ამავე განკარგულების საფუძველზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „სითი ლოფტს“ (ს/ნ: 404909934) შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქალაქ თბილისში, კონსტიტუციის ქუჩა №6-ში/ქალაქ თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩა №52-ში მდებარე 15913 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებული №1-№6 შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი: 01.16.01.009.001) ნასყიდობის თაობაზე (შემდგომში - „ნასყიდობის ხელშეკრულება“), რომლითაც აღნიშნული უძრავი ქონების ნასყიდობის საფასურად განისაზღვრა 18 700 000 (თვრამეტი მილიონ შვიდასი ათასი) ლარი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2020 წლის 1 ოქტომბერს გამოსცა N274, N275, N276, N277, N278 და N279 განკარგულებები ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის მიმართ, ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14 (ს/კ N01.10.06.001.115) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის (ს/ნ 204460957) და შპს „გეითვეი ჰოლდინგის“(ს/ნ 204531499) მიმართ, ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის (ს/ნ 204460957) და შპს „გეითვეი ჰოლდინგის“(ს/ნ 204531499) მიმართ, ქ. თბილისში, კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის (ს/ნ 204460957) და შპს „გეითვეი ჰოლდინგის“(ს/ნ 204531499) მიმართ, ქ. თბილისში, ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს „დიღომი დისთრიქთ აფარტმენთსის“ (ს/ნ 204514926) მიმართ და ქ. თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქ. N16 (ს/კ N01.10.10.025.029) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის (ს/ნ 204460957) და იბა „ახალი დიღომის“ (ს/ნ 202389156) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე;
- 2020 წლის 15 დეკემბერს შპს „სიემსიმ“ და „ცენტრ პოინტ ჯგუფმა“ მიმართეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას 10/01203502098-01 და 19/01203502092-01 წერილებით, რომლის თანახმადაც შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანს“ (ს/კ: 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგს“ (ს/კ: 204531499), შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დიღომს“ (ს/კ: 202389156) და ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88-ს“ შორის 2020 წლის 29 იანვარს და 2020 წლის 20 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმება N1-ის საფუძველზე, შპს „სიემსი“-მ იკისრა ვალდებულება შეასრულოს წინასამშენებლო მომსახურება და წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ობიექტების სამშენებლო სამუშაოების

ზედამხედველობა (შემდგომში - „მომსახურება“) შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულებით შეთანხმებული ვადებისა და პირობების დაცვით.

- ზემოხსენებულ წერილებზე თანდართული დოკუმენტაციის თანახმად, შპს „სიემსიმ“ ჩაატარა ტენდერი და გამოავლინა გამარჯვებული კომპანია (შემდგომში - „შემსრულებელი“), რომელიც განახორციელებს წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრულ ობიექტებზე სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებს, სატენდერო დოკუმენტაციისა და მოქმედი კანონმდებლობით შესაბამისად შეთანხმებული სანებართვო დოკუმენტაციის შესაბამისად;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ოქტომბრის N2053 განკარგულებით გათვალისწინებული მიზნების უზრუნველსაყოფად და წინამდებარე მემორანდუმის პირობების შესაბამისად, თბილისის მთავრობას განზრახული აქვს გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები და პროცედურები:

  ა) შპს „სიემსი“-ს მიერ „ცენტრ პოინტ ჯგუფთან“ დადებული „მომსახურების ხელშეკრულების“ შესაბამისად გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის მიზნით არაუმეტეს 750,000.00 (შვიდას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით;

  ბ) შპს „სიემსი“-ს მიერ შერჩეული „შემსრულებლისთვის“ მემორანდუმით გათვალისწინებულ ობიექტებზე განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების გადახდის მიზნით;
- მხარეები აცხადებენ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სამომავლოდ შესაძლოა დამატებით მოძიებულ იქნას წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ობიექტების დასრულების დაფინანსების დამატებითი წყაროები;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის (შემდგომში „მემორანდუმი“) მხარეები დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

2. მემორანდუმის მიზანი და განსაზღვრული ობიექტები

მემორანდუმის მიზანია მხარეთა თანამშრომლობა „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე შემდეგ ობიექტებთან დაკავშირებით:

2.1. ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქ. N3-ში (ს/კ 01.10.13.015.112) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობა;

2.2. ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14 (ს/კ 01.10.06.001.115) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობა;

2.3. ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩა N2-ში (ს/კ 01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობა;

2.4. ქ. თბილისში, კოსმონავტების სანაპირო N45-N47-N49 (ს/კ 01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობები;

2.5. ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქ. N10-ში (ს/კ 01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობა;

2.6. ქ. თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქ. N16-ში (ს/კ 01.10.10.025.029) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობა.

3. მემორანდუმის ძირითადი პირობები

3.1. მხარეები თანხმდებიან, რომ თბილისის მთავრობა უზრუნველყოფს შპს „სიემსის“ მიერ „მომსახურების ხელშეკრულების“ შესაბამისად გაწეული მომსახურების საფასურის გადახდას „ცენტრ პოინტ ჯგუფსა“ და შპს „სიემსის“ შორის გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტის შპს „სიემსის“ და „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მიერ თბილისის მთავრობისთვის წარდგენის შემდგომ.

3.2. მხარეები აცხადებენ და თანხმდებიან, რომ ამ მუხლის 3.1. პუნქტის შესაბამისად, თბილისის მთავრობამ უნდა უზრუნველყოს შპს „სიემსისთვის“ „მომსახურების“ საფასურის გადახდა 750,000.00 (შვიდას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით დღგ-ს ჩათვლით, რომელიც თბილისის მთავრობის შეხედულებისამებრ, შესაძლოა გადახდილ იქნას როგორც ერთიანად, ასევე ეტაპობრივად.

3.3. შპს „სიემსი“ და „ცენტრ პოინტ ჯგუფი“ აცხადებენ თანხმობას, რომ „შემსრულებლის“ მიერ წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრულ ობიექტებთან დაკავშირებული ნებისმიერი სამშენებლო სამუშაოს დაკვეთამდე თბილისის მთავრობას გაუგზავნიან წერილობით შეტყობინებას დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების თაობაზე, მისი განხორციელების გეგმა-გრაფიკისა და მიახლოებითი ღირებულების მითითებით.

3.4. ამ მუხლის 3.3 პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების მიღების შემდგომ, თბილისის მთავრობის შესაბამისი თანხმობის/დადასტურების მიღების შემთხვევაში შპს „სიემსი“ და „ცენტრ პოინტ ჯგუფი“ უფლებამოსილნი არიან დაუკვეთონ „შემსრულებელს“ შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.

3.5. ამ მუხლის 3.4. პუნქტით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ (იმ პირობით, რომ აღნიშნული სამშენებლო სამუშაოების განხორციელება წინასწარ შეთანხმებულია თბილისის მთავრობასთან ამ მემორანდუმით დადგენილი წესით), თბილისის მთავრობა უზრუნველყოფს „შემსრულებლისათვის“ შესაბამისი საფასურის გადახდისათვის საჭირო პროცედურების გატარებას, იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილ იქნება შემდეგი დოკუმენტაცია:

3.5.1 „ცენტრ პოინტი ჯგუფს“, შპს „სიემსის“ და „შემსრულებელს“ შორის გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დადასტურებულ იქნება „შემსრულებლის“ მიერ შესაბამისი სამუშაოების განხორციელება;

3.5.2 სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება 3.5.1. პუნქტში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელება, ასევე, დადგენილ იქნება ამ სამუშაოების განხორციელებისთვის გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების ოდენობა და გაწეული სამუშაოების მიზნობრიობის შესაბამისობა წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ობიექტების დასრულებასთან.

3.6. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ ანაზღაურებას დაექვემდებარება „შემსრულებლის“ მიერ წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრულ ობიექტებზე გაწეული მხოლოდ ის სამშენებლო სამუშაოები, რომლის განხორციელებაზე თბილისის მთავრობის მიერ წინასწარ იქნება გაცემული თანხმობა ამ მემორანდუმით დადგენილი წესის შესაბამისად და რომელზეც შპს „სიემსის“ ან/და „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ მიერ თბილისის მთავრობის მიერ წარდგენილ იქნება ამ მუხლის 3.5. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

3.7. მხარეები აცხადებენ და თანხმდებიან, რომ წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრულ ობიექტებზე ამავე მემორანდუმის პირობების შესაბამისად შეთანხმებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების სანაცვლოდ და აგრეთვე, ამ მუხლის 3.5. პუნქტის მოთხოვნების დაცვით, თბილისის მთავრობა უზრუნველყოფს „შემსრულებლისათვის" შესაბამისი საფასურის გადახდას ჯამურად არაუმეტეს 17,950,000.00 (ჩვიდმეტი მილიონ ცხრაას ორმოცდაათი ათასი ლარის ოდენობით.

3.8. მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ „შემსრულებლის" მიერ მოთხოვნილ იქნება მემორანდუმით განსაზღვრულ ობიექტებზე შესაბამისი სამშენებლო სამუშაოებისთვის ავანსის გადახდა (იმ პირობით რომ დაცულია ამ მუხლის 3.3. პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა), შპს „სიემსის" ან/და „ცენტრ პოინტ ჯგუფს" უფლება აქვთ მიმართონ თბილისის მთავრობას აღნიშნული მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში, „შემსრულებლის" მიერ თბილისის მთავრობის სასარგებლოდ წარდგენილ უნდა იქნას მოთხოვნილი ავანსის შესაბამისი ოდენობის უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია, რომლითაც სრულად იქნება უზრუნველყოფილი განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების შესრულება. საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს საქართველოში ან/და „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)" წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ლიცენზირებული ბანკის მიერ. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 6 (ექვსი) თვით უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადას.

3.9. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ მიუხედავად „შემსრულებლისთვის" ავანსის გადახდისა, ამ უკანასკნელის მიერ სამშენებლო სამუშაოების განხორციელება უნდა დადასტურდეს ამ მუხლის 3.5. პუნქტით დადგენილი წესით. მხარეები თანხმდებიან, რომ 3.8. პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საბანკო გარანტია შესაძლოა სრულად იქნას გამოთხოვილი იმ შემთხვევაში თუ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე თბილისის მთავრობისთვის არ იქნება წარდგენილი ამ მუხლის 3.5. პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დოკუმენტი („ცენტრ პოინტი ჯგუფს", შპს „სიემსის" და „შემსრულებელს" შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დადასტურებულ იქნება „შემსრულებლის" მიერ შესაბამისი სამუშაოების განხორციელება/სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება 3.5.1. პუნქტში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელება, ასევე, დადგენილ იქნება ამ სამუშაოების განხორციელებისთვის გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების ოდენობა და გაწეული სამუშაოების მიზნობრიობის შესაბამისობა წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ობიექტების დასრულებასთან).

3.10. მხარეები თანხმდებიან და აცხადებენ, რომ გარდა წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ფინანსური სახსრებისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სამომავლოდ შესაძლოა მოძიებულ იქნას წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ობიექტების დასრულებისთვის დაფინანსების დამატებითი წყაროები. ამგვარი წყაროებიდან მემორანდუმით გათვალისწინებული ობიექტების დასრულების მიზნით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების სანაცვლოდ შესაბამისი საფასურის გადახდა განხორციელდება ამ მემორანდუმით დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

3.11. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ მუხლის 3.10 პუნქტში მითითებული დამატებითი ფინანსური სახსრები შესაძლოა ჩარიცხულ იქნას სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე. ამ მიზნით, მემორანდუმის ძალაში შესვლის შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში თბილისის

ქალაქ თბილისის
გიორგი ყარაფანიძე

მთავრობა და შპს „სიემსი“ უზრუნველყოფენ საქართველოში ლიცენზირებულ ბანკთან მიზნობრივი საბანკო ანგარიშის გახსნის ხელშეკრულების დადებას, რომლის თანახმადაც ანგარიშის განმკარგველ სუბიექტად განისაზღვრება შპს „სიემსი“ იმ პირობით, რომ ანგარიშზე რიცხული თანხების განკარგვის უფლებამოსილება კომპანიას ექნება მხოლოდ თბილისის მთავრობის თანხმობის საფუძველზე, წინამდებარე მემორანდუმით დადგენილი პირობებისა და პროცედურების სრული დაცვით. მხარეები აცხადებენ და თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ ნებისმიერი მიზეზით წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების პერიოდში მიზნობრივ ანგარიშზე რიცხული თანხების სრულად გახარჯვა არ განხორციელდა, აღნიშნული თანხები მემორანდუმის ვადის გასვლამდე ჩარიცხულ უნდა იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3.12. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები აცხადებენ და თანხმდებიან, რომ წინამდებარე მემორანდუმი არეგულირებს მემორანდუმის საგანთან დაკავშირებულ ურთიერთობებს მხოლოდ მემორანდუმის მხარეებს შორის და იგი არ წარმოშობს რაიმე სახის უფლებებს ან მოვალეობებს სხვა მესამე პირებისთვის.

4. შეტყობინებები

4.1. მხარეთა შორის ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა უნდა განხორციელდეს წერილობით, ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს პირადად ან ფოსტის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

4.2. მემორანდუმის მიზნებისათვის, მხარეთა რეკვიზიტებია:

თბილისის მთავრობის შემთხვევაში:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: ჟ. შარტავას 7, თბილისი, საქართველო
ტელ: 032 272 22 22

შპს „სიემსის“ შემთხვევაში: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N33, 3-ე სართული.
info@cmc.ge

„ცენტრ პოინტი ჯგუფის“ შემთხვევაში:
მისამართი: აღმაშენებლის გამზ. 150ზ, თბილისი, საქართველო
ტელ: 599540253

5. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

5.1. მემორანდუმი რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. მემორანდუმის ყველა ცვლილება/დამატება და/ან დანართი წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

6.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 3 (სამი) წლის განმავლობაში.

6.2 წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და თითო მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

7. მხარეთა რეკვიზიტები

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მთავრობა

წარმოდგენილი მერის, კახა კალაძის მიერ

ცენტრ პოინტი ჯგუფი

წარმოდგენილი

მაია რჩეულიშვილის (პ/ნ: 01017003383) მიერ

შპს „სიემსი“ (ს/ნ: 205292486)

წარმოდგენილი მისი დირექტორის,

გიორგი ქარაზანიშვილის (პ/ნ: 01024026341) მიერ